ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4460449

ნომერი: AR1665250

თარიღი : 28.03.2019

გაცემის თარიღი : 19.04.2019

გაცნობის თარიღი : 22.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ერეკლე II , N 3 , ; ქალაქი თბილისი , მოედანი ერეკლე II , N 3 , მიმდებარედ , ნაკვეთი 35/016 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , (ნაკვეთი 35/009) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , (ნაკვეთი 45/020) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , (ნაკვეთი 35/015);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ვაჩნაძე პ/ნ 01008009697
- ჭავჭავაძის 29-3133 ბინა 67

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით გოგიჩაიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. "ჰაუსარტ ლუქსი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205255551

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. "ოლდ სითი"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405034626
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ივანე ბონდირევი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009000149

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3182581
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 31.03.2017

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2017 წლის 31 მარტის №3182581 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 31 მარტს №3182581 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - კრწანისი), ერეკლე II მოედანი N3 / ერეკლე II მოედანი N3 მიმდებარედ, (ნაკვეთი 35/016) / ერეკლე II ქუჩა, (ნაკვეთი 35/009) / ერეკლე II ქუჩა, (ნაკვეთი 45/020), ერეკლე II ქუჩა (ნაკვეთი 35/015), შპს ,,ოლდ სითი''-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.18.03.035.023), სასტუმროს არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 30 სექტემბრიდან 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით; ბრძანების მე-5 პუნქტით დამკვეთს დაევალა წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში წარმოადგინოს საპროექტო მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობა, დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი საბოლოო დასკვნა, ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ან/და ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. 2019 წლის 21 ივლისის №3342445ბრძანებით დამკვეთს შესრულებულად ჩეთვალა ზემოთ მითითებული ბრძანების მე–5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

2019 წლის 28 მარტს N AR1665250 განცხადებით სამსახურს მომართა შ.პ.ს. „ოლდ სითი“-ს დირექტორის ი. ბონდირევის მინდობილმა პირმა დ. ვაჩნაძემ (2019 წლის 21 მარტის N OC- 05/2019 მინდობილობა), რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2017 წლის 31 მარტის №3182581 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182581 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2017 წლის 30 სექტემბრიდან 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2021 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182581 ბრძანებასთან ერთად.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.

• საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.

• დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

- აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

- აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

- უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.